

სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო

ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მიერ

2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში:

21 იანვარი 2016 წელი



ვ.ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებელი. ბალეტის მოყვარულთა საზოგადოებამ სასწავლებლის მოსწავლეები დააჯილდოვა სიგელებით და სტიპენდიებით:

- მარია ამირხანოვი - ბალეტის მოყვარულთა საზოგადოება
- ელენე ღვინეფაძე - ბალეტის მოყვარულთა საზოგადოება
- მარტა სირბილაშვილი - პატრიცია და ლუის ფაორო
- ანი კაჭაშვილი - საქართველოს ამერიკელი მეგობრები
- სოფო ჯანჯღავა - პატრიცია და ლუის ფაორო

30 იანვარი 2016 წელი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გახსნა
პრემიერა ზ.ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების მე- IV წლის მოსწავლეები.

12, 13, 14 - თებერვალი 2016 წელი



პრემიერა ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში
საბალეტო დასმა დავით თორაძის განახლებური "გორდა" წარმოადგინა.

მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების მე-III, IV,V, VI, VII წლის მოსწავლეები
და მე- IV-მოსამზადებელი კლასის მოსწავლეები

27 თებერვალი 2016 წელი



ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 106 წლის იუბილე.
მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი

მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების I წლის მოსწავლეები და პედაგოგები.

27 თებერვალი 2016 წელი



ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმი
ვ. ჭაბუკიანის დაბადებიდან 106 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო.

მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების მე- IV წლის მოსწავლეები.

1 მარტიდან - 10 მარტამდე - 2016 წელი



კომპანია DAS MORPHOLOGISCHE INSTITUT -ის მიერ სასწავლებლის პედაგოგი ლელა ჭინჭარაული და სასწავლებლის მოსწავლეები მიწვეულნი იყვნენ შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში პროექტ–“CEISTER, CASTE UND WILDE TIERE”-ში მონაწილეობის მისაღებად, სადაც მოსწავლეებმა გაიარეს მსახიობის ოსტატობის, კლასიკის, მოდერნ- ბალეტის, ბრეიქ-დანსის მასტერკლასები, აგრეთვე Tanzhaus medea campus- ში მიმდინარეობდა რეპეტიციები მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის რეჟისორ- ქორეოგრაფ სალომე შნებერის მიერ , რომლის გადაღებაც იგეგმება საქართველოში 14 მარტიდან 25 მარტის ჩათვლით. ფილმი მზადდება თანამედროვე ქორეოგრაფიის ფესტივალისათვის და ფილმის შინაარსი აგებული იქნება ქართულ კულტურაზე.

11, 12, 13 – მარტი 2016 წელი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი პრემიერა პ.ჩაიკოვსკის ბალეტი „გედების ტბა.“
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების მე- VI წლის მოსწავლეები.

23 მარტი 2016 წელი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი
დავით თორაძის ბალეტი "გორდა"

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის მე- IV მოსამზადებელი კლასის და სწავლების- VIII წლის მოსწავლეები.

29 მარტი 2016 წელი



რუსთაველის თეატრის დიდი დარბაზი.

ქართულ-იაპონური საქველმოქმედო გალა-კონცერტი ორ მოქმედებად.

საკონცერტო პროგრამა და "მძინარე მზეთუნახავი".



კონცერტის ორგანიზატორი ბაღატის მეგობართა საზოგადოება

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის I, II III , IV კლასის მოსწავლეები

და სწავლების - I, II III , IV, V, VI, VII, VIII კლასის მოსწავლეები

21- აპრილი 24- აპრილი 2016 წელი



თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა ლატვიაში ქალაქ რიგაში „ვეენტუსის“ საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით. სასწავლებლის მოსწავლემ სალომე ლევერაშვილმა დაიმსახურა საუკეთესოთა შორის 1- ადგილი, ოქროს მედალი და გრან-პრი ნომინაციაში კლასიკური ვარიაცია. აგრეთვე თანამედროვე ცეკვაში მე-2 ადგილი და ვერცხლის მედალი. ასევე სასწავლებლის მოსწავლემ თათული თალაკვაძემ დაიმსახურა საუკეთესოთა შორის მე-2 ადგილი და ვერცხლის მედალი ნომინაციაში კლასიკური ვარიაცია

12, 13- მაისი 2016 წელი



სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელის ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით საქართველოში ჩამოსული იყო იაპონიაში მოღვაწე რუსი ქორეოგრაფი ალექსანდრე მიშუტინი, რომელმაც გამოსაშვები სადამოსათვის დადგა სპექტაკლი „არლეკინის მილიონები“, რომელიც გაიმართა 2016 წლის 12-13 მაისს ოპერისა და ბალეტის თეატრში.

გამოსაშვებ სადამოზე აგრეთვე მონაწილეობას ღებულობდნენ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იაპონიის ქ. ტოკიოს საერთაშორისო საბალეტო კომპანია საერთაშორისო საბალეტო უმაღლესი სკოლის 11 მოსწავლე და 2 პედაგოგი

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის I, II III , IV კლასის მოსწავლეები და სწავლების - I, II III , IV, V, VI, VII, VIII კლასის მოსწავლეები

15 მაისი 2016 წელი



თბილისის ვ.ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებელი.
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. წიგნის პრეზენტაცია.
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების- IV წლის მოსწავლეები.

18 მაისი 2016 წელი




რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ დარბაზში გაიმართა, თეატრალური სპექტაკლი ორ მოქმედებად. მამუკა სალუქვაძის პიესა „სიმარტოვე“ და მანანა დოიაშვილის „თავფარავნელი ჭაბუკი“ მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის თეატრალური განხრის, სწავლების - მე- VIII წლის მოსწავლეები

26 მაისი 2016 წელი



რუსთაველის მოედანი. ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების - I, II III , IV, V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები

1 ივნისი 2016 წელი



თბილისის ვ.ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებელი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად, დიმიტრი ცინცაძის ფონდის მიერ გამართულ საქველმოქმედო აუქციონზე.

მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების- IV წლის მოსწავლეები.

9 ივნისი 2016 წელი





თბილისის ვ.ჟაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებელს მოსწავლეები.
დიდი ბრიტანეთის ეროვნული დღესასწაულის – დედოფლის დაბადების დღისადმი მიძღვნილ საზეიმო
მიღებაზე.
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების- IV, V წლის მოსწავლეები.

15 ივნისი 2016 წელი



თბილისის ვ.ჟაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებელს მოსწავლეები ოპერისა და ბალეტის თეატრში
გამართულ საქველმოქმედო საღამოზე, რომელსაც იტალიური კინოს ვარსკვლავი სოფი ლორენი ესწრებოდა.
"სიყვარულისთვის" - ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელიც ერთდროულად ოპერისა და ბალეტის ერთობლივ სინთეზს წარმოადგენს.
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების- IV, V წლის მოსწავლეები.

29 ივნისი - 27 ივლისი 2016 წელი



გაცვლითი პროგრამა იაპონიის ქ. ტოკიო, ქ. ნაგოია - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელსა და იაპონიის ქ. ტოკიოს საერთაშორისო საბალეტო კომპანიის და იაპონიის ქ.ნაგოიას „იასუკო ნაიტო ბალეტ“- ის სკოლებს შორის.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების - IV, V, VIII წლის მოსწავლეები

7 ოქტომბერი 2016 წელი





თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე სცენაზე, ბალეტის მოყვარულთა საზოგადოების მიერ ორგანიზებული სადამო. ბალეტის მოყვარულთა საზოგადოებამ სასწავლებლის მოსწავლეები დააჯილდოვა სიგელებით და სტიპენდიებით:

- ნუცა თაქთაქიშვილი - ლია გოგოლაშვილის სახელობის სტიპენდია (გადაცემულია ნინო ანანიაშვილის მიერ)
- გურამ ელისაშვილი - იან და ფრანჩესკა კელის სახელობის სტიპენდია (გადაცემულია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისა და მისი მეუღლის მიერ, ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოება)
- ნიკა რუხაძე - დრ. გრინფილდის სახელობის სტიპენდია (გადაცემულია დრ. კრისტოფერ გრინფილდის მიერ)
- ბარბარე მელიქიძე - ტომიო და ჰარუე კაიტანის სახელობის სტიპენდია (გადაცემულია ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მიერ)
- სალომე ჩიტაშვილი - პირჯო ტურკის სახელობის სტიპენდია (გადაცემულია ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მიერ)
- თათია გულიშვილი - ქარო ვილკის სახელობის სტიპენდია (გადაცემულია ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მიერ)
- ქრისტინა მიმინოშვილი - ჟანეტ ბლექმენის სახელობის სტიპენდია (გადაცემულია ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მიერ)
- დავით სიჭინავა - პამელა ჰლივა-ოლივერის სახელობის სტიპენდია (გადაცემულია ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მიერ)
- ანანო წერედიანი - გიორგი მშვენიერაძის სახელობის სტიპენდია (გადაცემულია ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მიერ)
- ნუცა ბურჭულაძე - მაიუმი ინოს სახელობის სტიპენდია (გადაცემულია ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მიერ)
- მარიამ გედეხაური - ანდრეას ჰაიდინგსფელდერის სახელობის სტიპენდია (გადაცემულია ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მიერ)

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის - I, მე- II, III და IV კლასის მოსწავლეები
და სწავლების -I, მე-II, III , IV, V კლასის მოსწავლეები

1 ნოემბრიდან - 3 ნოემბრის ჩათვლით 2016 წელი



ქალაქი უფა. საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი.

სასწავლებლის პედაგოგი ლარისა ჩხიკვიშვილი და სწავლების მე- V წლის მოსწავლე ლიზი ავსაჯანიშვილი 2016 წლის 1 ნოემბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით იმყოფებოდნენ ქ.უფაში ქორეოგრაფიული სასწავლებლების საერთაშორისო ფესტივალზე ,სადაც ჩვენმა სასწავლებელმა დაიმსახურა დიდი მოწონება. ფესტივალზე მონაწილეობისათვის მათ გადაეცათ დიპლომი, სერთიფიკატი და სამადლობელო სიგელი.

9, 10 ნოემბერი 2016 წელი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი
პ.ჩაიკოვსკის ბალეტი "გედების ტბა"
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების- VII წლის მოსწავლეები.

12 ნოემბერი 2016 წელი



ლენოვოს პირველი ბრენდ მაღაზიის პრეზენტაცია ისთ ფოინთში
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის მე- IV მოსამზადებელი კლასის და სწავლების- VII წლის მოსწავლეები.

25, 26, 27 ნოემბერი 2016 წელი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი
პრემიერა ბალეტი "წუნა და წრუწუნა"
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების- I, II, III, IV, V წლის მოსწავლეები.

3 დეკემბერი 2016 წელი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი
"ლუტეცია ფართი -2016"
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების- V, VI, VII წლის მოსწავლეები.

7-9 დეკემბერი 2016 წელი



ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის დარბაზი. არტურ ლურატის მასტერკლასი თანამედროვე ცეკვის ტექნიკაში. მასტერკლასი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა იატაკთან მუშაობა, დინამიკა, სხვადასხვა თანამედროვე ცეკვის ტექნიკური ელემენტები და მათ ქორეოგრაფიულ ფაზებად დაჯგუფება, მუშაობა სივრცესთან და ენერგიასთან მიმართებაში და სხვა საკითხებს.

ორგანიზატორი: თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების სამხრეთკავკასიური ფესტივალი თბილისში. მასტერკლასი იმართება თბილისში ალექსანდრე დიუმას ფრანგული ინსტიტუტის დაფინანსებით.

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების V, VI და VIII წლის მოსწავლეები.

25 დეკემბერი 2016 წელი





ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი

ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის საახალწლო კონცერტი ორ მოქმედებად საკონცერტო პროგრამა და კ.ხაჩატურიანის ბალეტი "ჩიპოლინო".

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის - I, მე- II, III და IV კლასის მოსწავლეები

და სწავლების -I, მე-II, III , IV, V, VI, VII- კლასის მოსწავლეები

25 დეკემბერი 2016 წელი



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წითელი დარბაზი

ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის ასი წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის პედაგოგები, მოსწავლეები და მოწვეული სტუმრები.

29, 30 დეკემბერი 2016 წელი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი
ლ.მინკუსის ბალეტი "დონკიხოტი"
მონაწილეობდნენ:
სასწავლებლის სწავლების III, IV და V წლის მოსწავლეები.